

**სატენდერო დოკუმენტაცია**  
**შპს “თბილისი ენერჯი”-ს (შემდგომში - “შემსყიდველი”)**  
**მიერ ფოლადის მილების შესყიდვასთან დაკავშირებით**  
**გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად**

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შემუშავებულია შპს „თბილისი ენერჯი“-ს გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შპს “თბილისი ენერჯი“-ში შესყიდვების დაგეგმვისა და განხორციელების წესის შესახებ დებულებების საფუძველზე.

სატენდერო დოკუმენტაცია გადაეცემა პოტენციურ მიმწოდებელს შესაბამისი სატენდერო განაცხადის მოსამზადებლად.

**1. ზოგადი დებულებები**

1.1. სატენდერო დოკუმენტაცია განკუთვნილია პოტენციური მიმწოდებლისათვის და მიზნად ისახავს მისთვის სატენდერო პირობების შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდებას.

1.2. ტენდერი ტარდება ფოლადის მილების (შემდგომში - “საქონელი”) მიმწოდებლის გამოსავლენად.

**2. საქონელი**

2.1. საქონლის დასახელება და რაოდენობა:

№	საქონლის დასახელება და ტექნიკური მახასიათებლები	გრძ. მეტრი	ერთ. ფასი	ჯამური ღირ.
1	მილი ფოლადის დიამეტრი D 21,3 მმ, კედლის სისქე არაუმცირეს 2 მმ, სიმტკიცის კლასი მუშა წნევის შესაბამისად, მუშა წნევა PN 6 ატმოსფერო, ГОСТ 3262, ГОСТ 10705-80, ГОСТ 10704-91-ის ან ანალოგიური სტანდარტის API 5L PSL 1-ის შესაბამისად.	5160		
2	მილი ფოლადის დიამეტრი D 27 მმ, კედლის სისქე არაუმცირეს 2 მმ, სიმტკიცის კლასი მუშა წნევის შესაბამისად, მუშა წნევა PN 6 ატმოსფერო, ГОСТ 3262, ГОСТ 10705-80, ГОСТ 10704-91-ის ან ანალოგიური სტანდარტის API 5L PSL 1-ის შესაბამისად.	22620		
3	მილი ფოლადის დიამეტრი D 32 მმ, კედლის სისქე არაუმცირეს 3 მმ, სიმტკიცის კლასი მუშა წნევის შესაბამისად, მუშა წნევა PN 6 ატმოსფერო, ГОСТ 3262, ГОСТ 10705-80, ГОСТ 10704-91-ის ან ანალოგიური სტანდარტის API 5L PSL 1-ის შესაბამისად.	14040		
4	მილი ფოლადის დიამეტრი D 42 მმ, კედლის სისქე არაუმცირეს 3 მმ, სიმტკიცის კლასი მუშა წნევის შესაბამისად, მუშა წნევა PN 6 ატმოსფერო, ГОСТ 3262, ГОСТ 10705-80, ГОСТ 10704-91-ის ან ანალოგიური სტანდარტის API 5L PSL 1-ის შესაბამისად.	8040		
5	მილი ფოლადის დიამეტრი D 48 მმ, კედლის სისქე არაუმცირეს 3 მმ, სიმტკიცის კლასი მუშა წნევის შესაბამისად, მუშა წნევა PN 6 ატმოსფერო, ГОСТ 3262, ГОСТ 10705-80, ГОСТ 10704-91-ის ან ანალოგიური სტანდარტის API 5L PSL 1-ის შესაბამისად.	2400		
6	მილი ფოლადის დიამეტრი D 57 მმ, კედლის სისქე არაუმცირეს 3 მმ, სიმტკიცის კლასი მუშა წნევის შესაბამისად, მუშა წნევა PN 6 ატმოსფერო, ГОСТ 3262, ГОСТ 10705-80, ГОСТ 10704-91-ის ან ანალოგიური სტანდარტის API 5L PSL 1-ის შესაბამისად.	15240		

7	მილი ფოლადის დიამეტრი D 76 მმ, კედლის სისქე არაუმცირეს 3 მმ, სიმტკიცის კლასი მუშა წნევის შესაბამისად, მუშა წნევა PN 6 ატმოსფერო, ГОСТ 3262, ГОСТ 10705-80, ГОСТ 10704-91-ის ან ანალოგიური სტანდარტის API 5L PSL 1-ის შესაბამისად.	3240		
8	მილი ფოლადის დიამეტრი D 102 მმ, კედლის სისქე არაუმცირეს 3,5 მმ, სიმტკიცის კლასი მუშა წნევის შესაბამისად, მუშა წნევა PN 6 ატმოსფერო, ГОСТ 3262, ГОСТ 10705-80, ГОСТ 10704-91-ის ან ანალოგიური სტანდარტის API 5L PSL 1-ის შესაბამისად.	4200		
9	მილი ფოლადის დიამეტრი D 127 მმ, კედლის სისქე არაუმცირეს 4 მმ, სიმტკიცის კლასი მუშა წნევის შესაბამისად, მუშა წნევა PN 6 ატმოსფერო, ГОСТ 3262, ГОСТ 10705-80, ГОСТ 10704-91-ის ან ანალოგიური სტანდარტის API 5L PSL 1-ის შესაბამისად.	816		
10	მილი ფოლადის დიამეტრი D 159 მმ, კედლის სისქე არაუმცირეს 4 მმ, სიმტკიცის კლასი მუშა წნევის შესაბამისად, მუშა წნევა PN 6 ატმოსფერო, ГОСТ 3262, ГОСТ 10705-80, ГОСТ 10704-91-ის ან ანალოგიური სტანდარტის API 5L PSL 1-ის შესაბამისად.	984		
11	მილი ფოლადის დიამეტრი D 273 მმ, კედლის სისქე არაუმცირეს 6 მმ, სიმტკიცის კლასი მუშა წნევის შესაბამისად, მუშა წნევა PN 6 ატმოსფერო, ГОСТ 3262, ГОСТ 10705-80, ГОСТ 10704-91-ის ან ანალოგიური სტანდარტის API 5L PSL 1-ის შესაბამისად.	108		
ჯამი:				

**\*პოტენციურმა მიმწოდებელმა ფასი უნდა წარმოადგინოს სატენდერო დოკუმენტაციის 2.3. პუნქტის „ა)“ და „ბ)“ პირობების მითითებით.**

2.2. საქონლის მიწოდების ვადა: შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

2.3. საქონლის მიწოდება ხორციელდება:

ა) გამყიდველის საწყობში საქონლის სრული რაოდენობა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში; დროებითი შენახვის პირობით, მაგრამ არაუმეტეს 180 (ას ოთხმოცი) დღისა;

ბ) მყიდველის საწყობში საქონლის სრული რაოდენობის მიწოდებით ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

2.4 ანგარიშსწორება ხორციელდება:

ა) სატენდერო დოკუმენტაციის 2.3. პუნქტის „ა)“ პირობის შემთხვევაში ეტაპობრივად, საქონლის ფაქტიურად მოწოდებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში;

ბ) სატენდერო დოკუმენტაციის 2.3. პუნქტის „ბ)“ პირობის შემთხვევაში სრულად საქონლის ფაქტიურად მოწოდებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში;

2.5. სავალდებულოა მწარმოებლის მიერ გაცემული საქონლის ხარისხის და შესაბამისობის სერტიფიკატების წარმოდგენა.

### 3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

3.1. ტენდერში მონაწილეობისთვის პოტენციურმა მიმწოდებელმა (პრეტენდენტმა) უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ტექნიკური შეფასების კრიტერიუმებით და პირობებით მოთხოვნილი (იხ.დანართი #1);

ბ) დოკუმენტაცია ტექნიკური შეთავაზების წერილი (იხ.დანართი #2);

- გ) კომერციული შეთავაზება (ფასების ცხრილის გათვალისწინებით);  
პრეტენდენტი არ უნდა იყოს შეტანილი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ წარმოებულ შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში (შავი სია);  
პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობითა და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებს.
- 3.2. პოტენციურმა მიმწოდებელმა (პრეტენდენტმა) საზოგადოებას უნდა წარუდგინოს მოწმობების, ლიცენზიების, ცნობებისა და სხვა დოკუმენტების ასლები, რომლებიც ადასტურებენ მის შესაბამისობას საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.
- 3.3. შემსყიდველი არ განიხილავს სატენდერო განაცხადს, თუ პოტენციური მიმწოდებელი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას ან თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრული, არაზუსტი ან/და მცდარი აღმოჩნდება.
- 3.4. სატენდერო განაცხადებაში მითითებული მონაცემების საკვალიფიკაციო და სხვა მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შემსყიდველი უფლებამოსილია, ტენდერის მიმდინარეობისას განახორციელოს მონაწილეების წინასწარი საკვალიფიკაციო შერჩევა. შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, პოტენციური მიმწოდებელი შეფასებაზე არ დაიშვება.
- 3.5. პოტენციური მიმწოდებლის მიერ ტენდერზე წარმოდგენილი ცნობები გაცემული უნდა იყოს ტენდერის გამოცხადების შემდგომ პერიოდში.

#### **4. სატენდერო განაცხადების წარდგენა. სატენდერო განაცხადების მოქმედების ვადა**

- 4.1. ტენდერში მონაწილეობის მსურველმა პოტენციურმა მიმწოდებელმა, შემსყიდველს უნდა წარუდგინოს ორ დალუქულ კონვერტში მოთავსებული სატენდერო განაცხადი, ერთ კონვერტში ტექნიკური შეთავაზების წერილი და შეფასების კრიტერიუმებით და პირობებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია, მეორე კონვერტში-ფასების ცხრილი, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს სატენდერო დოკუმენტაციის 2-ე მუხლის მოთხოვნებს.
- 4.2. კონვერტზე სავალდებულოა პოტენციური მიმწოდებლის სახელწოდებისა და მისამართის მითითება, აგრეთვე მასზე აღნიშნული უნდა იყოს: შპს “თბილისი ენერჯისათვის” ფოლადის მილების შესყიდვის ტენდერი”, კონვერტი 1 ტექნიკური შეთავაზება, კონვერტი 2 კომერციული შეთავაზება.
- 4.3. შემსყიდველისათვის წარდგენილი დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს პოტენციური მიმწოდებლის ბეჭდით (თუ იგი სარგებლობს ბეჭდით).
- 4.4. სატენდერო განაცხადში ფასები მიეთითება ლარში.
- 4.5. სატენდერო განაცხადი შემსყიდველს წარედგინება 2025 წლის 14 მარტის 17:00 საათამდე (შემდგომში - “საბოლოო ვადა”), შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №18ა, შპს “თბილისი ენერჯის” კანცელარია. კანცელარიაში პოტენციური მიმწოდებლის სატენდერო განაცხადის მიღებისას აუცილებელია განაცხადის უშუალო მომწოდებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის დართვა მისაღებ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელზეც დაფიქსირდება დოკუმენტაციის წარმოდგენის ზუსტი თარიღი და დრო.
- 4.6. სატენდერო კომისიის მიერ არ განიხილება პოტენციური მიმწოდებლების (პრეტენდენტების) მიერ ვადების დარღვევით წარდგენილ სატენდერო განაცხადი.
- 4.7. პოტენციური მიმწოდებელი (პრეტენდენტი) გაიღებს ყველა ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია მისი სატენდერო განაცხადის მომზადებასა და წარდგენასთან. საზოგადოებასა და სატენდერო კომისიას არ ეკისრებათ ამ ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება, მიუხედავად ტენდერის ჩატარების შედეგებისა.
- 4.8. პოტენციური მიმწოდებელი (პრეტენდენტი) ვალდებულია მიუთითოს თავის სატენდერო განაცხადში მისი მოქმედების ვადა. სატენდერო განაცხადები რჩება ძალაში იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში, მაგრამ არანაკლებ 15 (თხუთმეტი) დღისა სატენდერო განაცხადების შემცველი კონვერტების გახსნის თარიღის შემდეგ. სატენდერო განაცხადი, რომელზეც მითითებულია უფრო ნაკლები მოქმედების ვადა, ვიდრე ეს

მოთხოვნილია სატენდერო დოკუმენტაციით, განიხილება, როგორც სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შეუსაბამო.

4.9. სატენდერო განაცხადების მოქმედების ვადის ამოწურვამდე სატენდერო კომისიას შეუძლია სთხოვოს პოტენციურ მიმწოდებელს (პრეტენდენტს) დამატებით გააგრძელოს აღნიშნული ვადა კონკრეტული დროის პერიოდზე. პოტენციურ მიმწოდებელს (პრეტენდენტს) შეუძლია უარი თქვას აღნიშნული თხოვნის დაკმაყოფილებაზე და ამასთან.

4.10. პოტენციურ მიმწოდებელს უფლება აქვს შეცვალოს ან გაიხმოს თავისი სატენდერო განაცხადი სატენდერო განაცხადების წარდგენისათვის დადგენილი საბოლოო ვადის გასვლამდე.

4.11. შემსყიდველი უფლებამოსილია, პოტენციური მიმწოდებლის წერილობითი თხოვნის საფუძველზე ან თავისი ინიციატივით, განმარტოს/დააზუსტოს სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ინფორმაცია, რაც ფორმდება სატენდერო დოკუმენტაციის დამატების სახით და ეგზავნება ყველა პოტენციურ მიმწოდებელს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე არა უგვიანეს 5 კალენდარული დღისა.

## **5. სატენდერო განაცხადების შემცველი კონვერტის გახსნა, სატენდერო განაცხადის განხილვა და შეფასება**

5.1. კონვერტი 1, რომლებშიც მოთავსებულია სატენდერო დოკუმენტაციის 3.1. პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია, სავარაუდოდ გაიხსნება 2025 წლის 17 მარტს.

5.2. სატენდერო კომისია არ განიხილავს შეფასებისთვის სატენდერო განაცხადს, თუ:

ა) სატენდერო განაცხადის წარმდგენი პოტენციური მიმწოდებელი (პრეტენდენტი) ვერ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

ბ) მოცემული სატენდერო განაცხადი არ პასუხობს სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;

გ) სატენდერო განაცხადი არ არის გაფორმებული და დამოწმებული დადგენილი წესით;

5.3. პოტენციური მიმწოდებლის მცდელობა ზეწოლა მოახდინოს სატენდერო კომისიის საქმიანობაზე, წარმოადგენს მისი დისკვალიფიკაციის საფუძველს.

5.4. სატენდერო კომისია აჯამებს ტენდერის შედეგებს სატენდერო განაცხადების შემცველი კონვერტების გახსნის თარიღიდან არა უგვიანეს 15 დღისა.

5.5 სატენდერო კომისია უფლებამოსილია არ განიხილოს მიღებული განაცხადები, უარი განაცხადოს გამარჯვებულის გამოვლენაზე და გამოაცხადოს ტენდერი არშემდგარად, თუ მიმწოდებელთა მიერ შეთავაზებული ფასი და შესყიდვის ობიექტის სხვა მახასიათებლები არ შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს.

## **6. შესყიდვის ხელშეკრულების დადება**

6.1. ტენდერით შერჩეულ (გამარჯვებულ) პოტენციურ მიმწოდებელთან (პრეტენდენტთან) ფორმდება შესყიდვის ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. ტენდერით შერჩეული (გამარჯვებული) პოტენციური მიმწოდებელი (პრეტენდენტი) გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ შეტყობინებისა და შესყიდვის ხელშეკრულების პროექტის გადაცემიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში ხელს აწერს ხელშეკრულებას.

6.3. თუ მიმწოდებელი გამოცხადებულია ტენდერის გამარჯვებულად და იგი ხელს არ აწერს შესყიდვის ხელშეკრულებას ამ მუხლის 6.2. პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დადოს შესყიდვის ხელშეკრულება ტენდერის სხვა მონაწილესთან, რომლის წინადადება, ამ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით, წარმოადგენს ყველაზე უფრო ხელსაყრელს გამარჯვებულის წინადადების შემდეგ, რაც დასტურდება ტენდერის შედეგების ოქმით.

6.4. არ დაიშვება ცვლილებების ან/და ახალი პირობების შეტანა შესყიდვის ხელშეკრულების პროექტში ან ხელმოწერილ შესყიდვის ხელშეკრულებაში (გარდა ფასის შემცირებისა), რამაც შესაძლებელია შეცვალოს იმ წინადადების შინაარსი, რომელიც წარმოადგენს მიმწოდებლის

შერჩევის საფუძველს. დასაშვებია ცვლილებების შეტანა შესყიდვის ხელშეკრულების პროექტში ან ხელმოწერილ შესყიდვის ხელშეკრულებაში ფასის შემცირების ნაწილში იმ პირობით, რომ ხარისხი, მოცულობა და სხვა პირობები, რაც წარმოადგენს მიმწოდებლის შერჩევის საფუძველს, დარჩება უცვლელი.

6.5. შესყიდვის ხელშეკრულების ხელმოწერამდე შემსყიდველი უფლებამოსილია აწარმოოს მოლაპარაკებები ტენდერში გამარჯვებულ პოტენციურ მიმწოდებელთან (პრეტენდენტთან) ხელშეკრულების ფასის შემცირების თაობაზე.

6.6. იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვების ხელშეკრულების განხორციელების პროცესში შესაბამის საქონელზე შემცირდა ფასები, შემსყიდველისა და მიმწოდებლის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შესყიდვების ხელშეკრულებაში შესაძლებელია შეტანილი იქნეს შესაბამისი ცვლილება ფასის შემცირების თაობაზე.

## ტექნიკური შეფასების კრიტერიუმები და პირობები დანართი #1

მიღებულ შემოთავაზებებს შემსყიდველი აფასებს შემდეგ კრიტერიუმების საფუძველზე.

წარმოდგენილი საბუთები უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

კომერციული შეფასების დროს განიხილება მხოლოდ ის ტექნიკური შეთავაზებები, რომლებიც შეესაბამება ტექნიკური შეფასების კრიტერიუმებს და პირობებს.

№	კრიტერიუმი	მოთხოვნილი საბუთები	კრიტერიუმების გამოვლენის და შეფასების პირობები
1.	ტექნიკური შემოთავაზება	<ul style="list-style-type: none"> <li>• ტექნიკური შეთავაზების წერილი</li> </ul>	<p>ტექნიკური შეთავაზების წერილი შინაარსის შეუცვლელად, უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, დალუქული და დათარიღებული.</p>
1.1.	შესაბამისი გამოცდილება	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>ფორმა 1: მსგავსი სამუშაო გამოცდილება</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მიღება-ჩაბარების აქტები (დასრულებული პროექტებისთვის)</li> <li>○ ხელშეკრულებები</li> <li>○ პორტფოლიო საბუთები:                             <ul style="list-style-type: none"> <li>- კომპანიის ზოგადი პროტფოლიო (ვებგვერდი)</li> </ul> </li> </ul> </li> </ul>	<p>უნდა მომზადდეს დეტალური ინფორმაცია პროექტის დავალების საბუთში მითითებული 3 მსგავსი (200 000 ლარი ან მეტი) დასრულებული ან მიმდინარე (70%-ით დასრულებული) პროექტის შესახებ ბოლო 5 წლის განმავლობაში. პროექტების მსგავსების შესაფასებლად, ინფორმაციას თან უნდა დაერთოს ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები თითოეული შესრულებული სამუშაოსთვის.</p>
1.2.	ტექნიკური ბაზა	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>ფორმა 2: აღჭურვილობა/ტექნიკა/ინფრასტრუქტურა</b> საწყობი</li> </ul>	<p>დეტალური ინფორმაცია საწყობის შესახებ (მისამართი, ფოტოები, ტერიტორია (კვ.მ)) საკუთრების დოკუმენტი ან საიჯარო ხელშეკრულება / მემორანდუმი.</p>
1.3.	მონაწილეობის კრიტერიუმები	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>ფორმა 3</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო - ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან.</li> </ul> </li> </ul> <p>ეს საბუთი შეიცავს: ინფორმაციას ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, გადახდისუნარიობის, ასევე ყადაღის, აკრძალვის, გირაოსა და თავდებობის შესახებ.</p>	<p>ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ვენდორი უნდა იყოს გადახდისუნარიანი, არ უნდა იმყოფებოდეს ლიკვიდაციაში, მის ქონებას არ უნდა ედოს ყადაღა, მისი ეკონომიკურ-ფინანსური აქტივობა არ უნდა იყოს შეჩერებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით.</p>
1.4.	მონაწილეობის კრიტერიუმები	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>ფორმა 4</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○ შემოსავლების სამსახური – ამონაწერი საბიუჯეტო ან/და საკრედიტო ინსტიტუტებისადმი ვადაგადაცილებული დავალიანების შესახებ.</li> </ul> </li> </ul>	<p>ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ვენდორს არ უნდა ჰქონდეს ვადაგადაცილებული საბიუჯეტო დავალიანება.</p>

ტექნიკური შეთავაზების წერილი

შპს „თბილისი ენერჯი“-ს:

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვაცხადებთ:

- (a) **უცვლელობა:** ჩვენ განვიხილეთ სატენდერო დოკუმენტი ყველა მიმაგრებული ფაილის ჩათვლით, სრულიად ვაცნობიერებთ საქონლის მიწოდების პირობებს, რომელიც ამ დოკუმენტებით არის დამტკიცებული და მათში ცვლილებები არ შეგვაქვს;
- (b) **დაშვების უფლება:** ჩვენ არ ვარღვევთ ტენდერში დაშვების მოთხოვნებს და ვადასტურებთ, რომ არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი;
- (c) **ტექნიკური შესაბამისობა:** ჩვენ გთავაზობთ ფოლადის მილების მიწოდებას გაზიფიცირების პროექტის ფარგლებში სატენდერო მოთხოვნების შესაბამისად.
- (d) **შეთავაზების მოქმედების ვადა:** ჩვენი ტექნიკური და კომერციული შემოთავაზება ძალაშია წინადადების წარდგენისთვის განსაზღვრული საბოლოო თარიღიდან 15 დღის განმავლობაში (ან, საჭიროების შემთხვევაში, გადაანგარიშდება შეცვლილი თარიღის მიხედვით), და უცვლელი სახით ძალაში დარჩება აღნიშნული პერიოდის განმავლობაში.
- (e) **ხელშეკრულება:** ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი წინადადება თქვენს დასტურთან ერთად წარმოადგენს სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტს ოფიციალური ხელშეკრულების გაფორმებამდე. ტენდერის დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ხელშეკრულების შაბლონში (მონიშნეთ “X” სიმბოლოთი შემდეგი დებულებები);  
( ) ჩვენ არ შეგვაქვს ცვლილებები  
( ) შეგვაქვს ცვლილებები (ჩამატებულია ხელშეკრულებაში)
- (f) **წინადადების მიღების არასავალდებულოობა:** ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ თქვენ არ ხართ ვალდებული მიიღოთ ყველაზე დაბალი ფასის, ტექნიკური პირობებით ყველაზე მეტად შესაფერისი ან ნებისმიერი სხვა სახის წინადადება.
- (g) **თაღლითობა და კორუფცია:** ვადასტურებთ, რომ მიღებული გვაქვს თაღლითობისა და კორუფციის აღმკვეთი ყველა შესაძლო ზომა და გარწმუნებთ, რომ ჩვენი სახელით მოქმედი არც ერთი პიროვნება არ არის გარეული თაღლითობასა და კორუფციაში.

სახელი და გვარი: \_\_\_\_\_

თანამდებობა: \_\_\_\_\_

ხელმოწერა და ბეჭედი: \_\_\_\_\_

უფლებამოსილია ხელი მოაწეროს წინადადებას კომპანიის სახელით (პრეტენდენტის სრული დასახელება) .

თარიღი: \_\_\_\_\_

ფორმა 1: მსგავსი სამუშაოების შესრულების გამცოდინლება

No	დაწყებისა და დასრულების თარიღი <sup>1</sup>	შემსყიდველი / საკონტაქტო პიროვნება / საკონტაქტო ნომერი	შესრულებული სამუშაოს დეტალური აღწერა (ადგილმდებარეობა, ძირითადი შემადგენელი ნაწილები, რაოდენობა/მოცულობა) და მოთხოვნილ სამუშაოსთან შესაბამისობის აღწერა	ხელშეკრულების ღირებულება	დასრულების პროცენტული მაჩვენებელი <sup>2</sup>
1.					
2.					
3.					
4.					
5.					

**შენიშვნა:** ფორმას თან უნდა ახლდეს მხარეთა მიერ დამოწმებული მიღება-ჩაბარების აქტები, რომლებშიც გაწერილი იქნება დასრულებული სამუშაოების დეტალები/მოცულობა ან მიმდინარე სამუშაოებისთვის საბოლოო შესრულების აქტები.

<sup>1</sup> ჩასვით თვე და რიცხვი

<sup>2</sup> თუ სამუშაო მიმდინარეა, %-ის საშუალებით მიუთითეთ ამ სამუშაოს რა ნაწილი არის დასრულებული (დასაშვებია მინიმუმ 80%-იანი შესრულების მითითება)

ფორმა 2: აღჭურვილობის/საწარმოო რესურსის ჩამონათვალი

No	საწარმოო რესურსის/აღჭურვილობის აღწერა	მისამართი	ამჟამინდელი ფუნქცია
1.	საწყობი		
2.			
3.			
4.			
5.			